

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი

18.11.2015 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე.

კომისიის წევრები: ამირან ქანთარია, აკაკი იმნაიშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/ მომხსენებელი:კახაბერ გუჯაბიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/ მომხსენებელი:კახაბერ გუჯაბიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/ მომხსენებელი:კახაბერ გუჯაბიძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

/ მომხსენებელი:კახაბერ გუჯაბიძე/

5. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს #23 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ ადმინისტრაციული სამსახურის ტექნიკურ პერსონალს დაემატოს გამგებლის მძღოლის 1, გამგეობის მძღოლის 2 საშტატო ერთეული და სამსახურის რიცხოვნება განისაზღვრა 18 საშტატო ერთეულით.

დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების“ მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით, კერძოდ: მდივანი-620 ლარი, დამხმარე მოსამსახურე- 600 ლარი, გამგებლის მძღოლი-680 ლარი, გამგეობის მძღოლი-600 ლარი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე -„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ოქტომბრის #40 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილებები, კერძოდ:

ე) ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეული- სოფლების ქვიანის, ჩოლოზარგის, ჭყონაგორას, ჯაპანია, ნიგოთისა და ჯიხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

ვ) შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული- სოფლების ზემო შუხუთის და ქვემო შუხუთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის #2284 განკარგულებით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამოეყო 700 000 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ გუჯაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე - ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომას გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ მისი ფრაქციის მიერ ინიცირებული პროექტი სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის სამონასტრო კომპლექსის ტურისტულ-რეკრეაციულ ზონაში არსებული შუა საუკუნეების მენელსაცხებლე დედათა სახელობის ყოფილი მონასტრის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ დამტკიცებული იქნა 2015 წლის 30 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში არ იქნა ასახული, რის გამოც 2016 წლის ბიუჯეტი ფრაქციის მიერ იქნა დაწუნებული და ბრუნდება უკან, რათა გათვალისწინებული იქნას აღნიშნული პროექტი ბიუჯეტში.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურის“ გამოყოფილი აქვს 1 200 000 ლარი, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 300 000 ლარით ნაკლებია, ხოლო ფრაქციის წევრებს აკაკი იმნაიშვილს და ამირან ქანთარიას მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ პირველ ეტაპზე საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთი გურის“ დაფინანსება მოხდეს 700 000-800 000 ლარით, ხოლო გარკვეული შედეგების შემდეგ მოხდეს დაფინანსების გაზრდა.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნას ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა (23 000 ლარი).

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება: ფრაქციის წევრების მიერ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნდეს, რათა გათვალისწინებული იქნას ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნები.

სხვადასხვა:

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ქ.ლანჩხუთის ჟორდანის ქ. №130 მიმდებარე კორპუსის მოსახლეობა ითხოვს საგარაჟო ფართის დაკანონებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში მომრავლდა უპატრონო ძაღლების რაოდენობა და პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ანტისარიტარული მდგომარეობა, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღმოფხვრილი. ასევე ისაუბრა მიმდებარე ტერიტორიაზე ხუთ სართულიანი კორპუსის შესახებ, რომლის საძირკველიც ყველა გაწვიმებაზე იცემა წყლით და ქმნის საძირკველის მოშლის საფრთხეს.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ინდ. მეწარმეების მოთხოვნაა ქ.ლანჩხუთში შეიქმნას სალარო აპარატების შეკეთების სერვისცენტრი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
თავმჯდომარე



კახაბერ გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების"
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

18 ნოემბერი 2015 წელი
13.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ გუჯაბიძე	12 41	
2	ამირან ქანთარია	12 50	
3	აკაკი იმნაიშვილი	12 59	